



**კავკასიის უნივერსიტეტი**  
**კავკასიის კავკასიის სახელმწიფო მართვის სკოლა**

**სილაბუსი**

სასწავლო კურსის დასახელება	ევროპული ინტეგრაციის თეორიები
სასწავლო კურსის კოდი	TEI 5050
სასწავლო კურსის ანოტაცია	კურსის მიზანია სტუდენტებს მისცეს სრულყოფილი ცოდნა ევროპის ინტეგრაციის თეორიების შესახებ. კურსი აანალიზებს ევროპის ინტეგრაციის მიზეზებს და ამ პროცესის მამოძრავებელ ძალებს (სახელმწიფოები, არა-სახელმწიფო აქტორები, ევროპული ინსტიტუტები) და გვთავაზობს შესაბამის თეორიულ ახსნას. კურსი ინტეგრაციის თეორიებს განიხილავს საერთაშორისო ურთიერთობებისა და პოლიტიკური თეორიების პრიზმიდან. საერთაშორისო ურთიერთობების თეორიები გამოიყენება ევროკავშირში ამჟამად მიმდინარე პროცესების ანალიზისათვის, რათა სტუდენტებმა უკეთ გაიგონ ინტეგრაციის პროცესი და გასცდნენ რეგიონალური ინტეგრაციის თეორიების ოჯახს. კურსი ასევე, განიხილავს კონკრეტულ მაგალითებს ევროკავშირის ინტეგრაციის თეორიების ჭრილში.
სასწავლო კურსის სტატუსი	<input type="checkbox"/> სავალდებულო <input checked="" type="checkbox"/> არჩევითი
ECTS	5 ECTS კრედიტი
სკოლა	კავკასიის სახელმწიფო მართვის სკოლა (CSG)
სწავლის საფეხური	<input type="checkbox"/> ბაკალავრიატი <input checked="" type="checkbox"/> მაგისტრატურა <input type="checkbox"/> დოქტორანტურა
სწავლების სემესტრი	I

ლექტორი:	სერგი კაპანაძე
სამუშაო ადგილი	საქართველოს პარლამენტი, ვიცე-სპიკერი
აკადემიური ხარისხი	ფილოსოფიის დოქტორი
აკად. თანამდებობა	მოწვეული ლექტორი
ტელეფონი	577733877
ელ-ფოსტა	<a href="mailto:skapanadze@cu.edu.ge">skapanadze@cu.edu.ge</a> ; <a href="mailto:sergikap@gmail.com">sergikap@gmail.com</a>
კონსულტაციის დრო	სტუდენტებთან წინასწარი შეთანხმებით

სასწავლო კურსის შესწავლის წინაპირობები	წინაპირობა არ აქვს
----------------------------------------	--------------------

სასწავლო კურსის ფორმატი	125 საათი	
ლექცია	13	13 კვირა, კვირაში 1 საათი
სემინარი	13	13 კვირა, კვირაში 1 საათი
შუალედური/დაბოლოო გამოცდა	4	2 საათი შუალედური და 2 საათი დასკვნითი გამოცდა
დამოუკიდებელი სამუშაო	95	დამოუკიდებელი მუშაობის საათები
კონსულტაცია	5	საკონსულტაციო საათები

სასწავლო კურსის მიზანი	<p>კურსს აქვს რამოდენიმე მიზანი. ცოდნაზე ორიენტირებული მიზნები გულისხმობს გაზარდოს სტუდენტების ცოდნა ევროკავშირის ინსტიტუტებისა და საერთაშორისო ურთიერთობებისა თუ სხვა თეორიების შესახებ, რომლებიც ცდილობენ ახსნან ევროკავშირის ინტეგრაცია. გარდა ამისა, კურსს გააჩნია უნარებზე ორიენტირებული მიზნები. უპირველეს ყოვლისა, სტუდენტებს მოუწევთ გამოამყდონ ანალიტიკური აზროვნების უნარი, რაც მათ განსაკუთრებით დასჭირდებათ შუალედურ და ფინალურ გამოცდებზე. სტატიების მიმოხილვა მოითხოვს საკმაოდ დიდი მოცულობის ინფორმაციის დამუშავების, ანალიზისა და 500 სიტყვიანი მოხსენების მომზადების უნარს. ეს დავალება სტუდენტებს ეხმარება განივითარონ ანალიტიკური და კრიტიკული აზროვნებისა და მოცულობითი ინფორმაციის 500 სიტყვიანი მოხსენებად ჩამოყალიბების უნარი.</p>
------------------------	-----------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------

სწავლის შედეგი	<p><b>ცოდნა და გაცნობიერება:</b>  სტუდენტები ისწავლიან, თუ, როგორ გამოიყენონ ევროპის ინტეგრაციის თეორიები რეალურ სიტუაციებთან მიმართებაში. ისინი ისწავლიან ევროკავშირში მიმდინარე პროცესების სხვადასხვა თეორიულ ჭრილში გაანალიზებას. სტუდენტები, ასევე, ისწავლიან თუ, როგორ ფორმირდება სოციალურ მეცნიერებათა თეორიები და რა როლი აქვთ მათ კვლევის პროცესში. სტუდენტები, ასევე გაეცნობიან საერთაშორისო ურთიერთობების თეორიებს და ნახავენ, თუ რამდენად მიესადაგება ეს თეორიები ევროპულ კვლევებს.</p> <p><b>ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი:</b>  სტუდენტები შეძლებენ თავისუფლად გაანალიზონ ევროპის ინტეგრაციასთან დაკავშირებული მიმდინარე პროცესები. ისინი შეძლებენ განსაზღვრონ რომელი თეორიული სკოლა გვთავაზობს რეგიონულ ინტეგრაციასთან დაკავშირებული საკითხების უკეთეს ახსნას. შეძლებენ კურსის ფარგლებში მიღებული ცოდნის გამოყენებას ევროკავშირის ინტეგრაციასთან დაკავშირებულ რეალურ მაგალითებთან მიმართებაში.</p> <p><b>კომუნიკაციის უნარი:</b>  ჯგუფის წინაშე კომპლექსური თეორიული მასალების წარდგენისას სტუდენტებს განუვითარდებათ პრეზენტაციების მომზადებისათვის აუცილებელი უნარ-ჩვევები.</p> <p><b>სწავლის უნარი:</b>  სტუდენტებს განუვითარდებათ ევროპის კვლევებში სამეცნიერო კვლევის, აკადემიური ნაშრომებისა და სამეცნიერო სიახლეების მიღწევისა და ცოდნის მუდმივად განახლების უნარი.</p> <p><b>ღირებულებები</b>  სტუდენტები გაიღრმავებენ ცოდნას ევროპული პოლიტიკური ღირებულებების შესახებ.  სტუდენტებს გამოუმუშავდებათ ალტერნატიული ხედვებისა და მოსაზრებების პატივისცემის უნარი.</p>
----------------	------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------

სავალდებულო ლიტერატურა	<ul style="list-style-type: none"> <li>- Mette Eilstrup-Sangiovanni, “Debates on European Integration”, The European Union Series, <i>Palgrave Macmillan</i>, 2006;</li> <li>- Antje Wiener and Thomas Diez, <i>European Integration Theory</i>, Oxford University Press, 2009;</li> <li>- Paul Pierson, “The Path to European Integration: A Historical Institutional Analysis”, Political Relations and Institutions Research Group, Working Paper 2.39. November 1996.</li> </ul>
------------------------	--------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------

დამხმარე ლიტერატურა და ინფორმაციის სხვა წყაროები	<p>Ben Rosamond, <i>Theories of European Integration</i>, Palgrave MacMillan, 2000</p> <p>Brent Nelsen and Alexander Stubb, <i>The European Union: Readings on the theory and practice of European Integration</i>, Palgrave Macmillan, 2003</p> <p>Christiansen, T; K. Jorgensen and A. Wiener. 1999. “The Social Construction of Europe.” <i>Journal of European Public Policy</i> 65 (Special Issue): 528-44.</p> <p>Checkel, Jeffrey. 1999. “Social Construction and Integration.” <i>Journal of European Public Policy</i> 65 (Special Issue): 545 - 60.</p> <p>Moravcsik, Andrew. 1999. “Is Something Rotten in the State of Denmark? Constructivism and European Integration.” <i>Journal of European Public Policy</i> 65 (Special Issue): 669 - 81.</p>
--------------------------------------------------	------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------

	Smith, Steve. 1999. "Social Constructivisms and European Studies: A Reflectivist Critique." Journal of European Public Policy 65 (Special Issue): 682 - 91. Risse, Thomas, and Antje Wiener. 1999. "Something Rotten' and the Social Construction of Social Constructivism: A Comment on Comments." Journal of European Public Policy 6: 5 (Special Issue): 775-82.
--	---------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------

<b>სწავლებისა და სწავლის მეთოდები</b>	<ol style="list-style-type: none"> <li>1. ვერბალური ანუ ზეპირსიტყვიერი მეთოდი;</li> <li>2. წიგნზე მუშაობის უნარი;</li> <li>3. წერითი მუშაობის უნარი;</li> <li>4. დისკუსია/დებატები;</li> <li>5. შემთხვევის ანალიზი (case study);</li> <li>6. გუნდური მუშაობის უნარი;</li> <li>7. პრეზენტაციის უნარი;</li> <li>8. ახსნა-განმარტებითი მეთოდი.</li> </ol>
---------------------------------------	--------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------

<b>სტუდენტის მიმართ წაყენებული მოთხოვნები</b>	<p>სტუდენტი ვალდებულია:</p> <ul style="list-style-type: none"> <li>- შეასრულოს სასწავლო კურსით გათვალისწინებული დავალებები;</li> <li>- დაესწროს ლექცია-სემინარებს და პრაქტიკულ მეცადინეობებს;</li> <li>- არ შეუშალოს ხელი სასწავლო პროცესის მიმდინარეობას;</li> <li>- გამოცდების ჩაბარების დროს იხელმძღვანელოს გამოცდების ჩატარების შესახებ უნივერსიტეტში მოქმედი რეგულაციებით;</li> <li>- სემესტრის ბოლოს, შეაფასოს აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის მუშაობა;</li> <li>- დაიცვას უნივერსიტეტში დადგენილი სხვა წესები.</li> </ul>
-----------------------------------------------	-------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------

<b>ცოდნის შეფასების ფორმები და კრიტერიუმები</b>	<b>გამოკითხვის ფორმა</b>	<b>რაოდენობა</b>	<b>შეფასება</b>	<b>სულ ქულათა რაოდენობა</b>
	ზეპირი პრეზენტაცია	1	20	10
	წერითი გამოკითხვა/ესსე	1	25	15
	შუალედური გამოცდა	1	25	25
	დასკვნითი გამოცდა	1	30	30
<b>ჯამი:</b>				<b>100 ქულა</b>
<b>ცოდნისა და უნარ-ჩვევების შეფასების სისტემა</b>				

შეფასების მიზანია იმის გარკვევა, თუ რამდენად არის მიღწეული სასწავლო კურსით განსაზღვრული სწავლის შედეგები. სტუდენტთა შეფასება არის მრავალკომპონენტური და უზრუნველყოფს კურსის მიზნებისა და სწავლის შედეგების შეფასებას, რაც მიიღწევა კონკრეტული და გაზომვადი კრიტერიუმებისა და რუბრიკების გამოყენებით. სტუდენტთა შეფასება ეფუძნება შეფასების ოთხ ძირითად პრინციპს: ობიექტურობა, სანდოობა, ვალიდურობა, გამჭვირვალობა.

სტუდენტთა შეფასებისას გამოიყენება ორი ტიპის შეფასება: განმსაზღვრელი და განმავითარებელი. განმსაზღვრელი შეფასების მიზანია სტუდენტის მიღწევის ზუსტი შეფასება. იგი აკონტროლებს სწავლის ხარისხს, ადგენს სტუდენტის მიღწევის დონეს სასწავლო კურსით განსაზღვრულ მიზნებთან მიმართებით. განმავითარებელი შეფასება სტუდენტის განვითარებაზეა მიმართული. იგი აწვდის სტუდენტს მიღწევებთან დაკავშირებით უკუკავშირს.

შეფასება 100-ქულიანი სისტემით მიმდინარეობს. შეფასების სისტემა უშვებს:

ა) ხუთი სახის დადებით შეფასებას:

ა.ა) (A) ფრიადი - შეფასების 91-100 ქულა;

ა.ბ) (B) ძალიან კარგი - მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა;

ა.გ) (C) კარგი - მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა;

ა.დ) (D) დამაკმაყოფილებელი - მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა;

ა.ე) (E) საკმარისი - მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა;

ბ) ორი სახის უარყოფით შეფასებას:

ბ.ა) (FX) ვერ ჩააბარა - მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;

ბ.ბ) (F) ჩაიჭრა - მაქსიმალური შეფასების 40 ქულა ან ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

სტუდენტს კრედიტი ენიჭება საბოლოო შეფასების საფუძველზე, რომელიც შედგება შუალედურ და დასკვნით შეფასებებში მიღებული ქულათა ჯამისაგან.

სტუდენტის სწავლის შედეგების მიღწევის დონის შეფასება მოიცავს შუალედურ და დასკვნით შეფასებებს, რომელთათვისაც შეფასების საერთო ქულიდან (100 ქულა) საბოლოო შეფასებაში განსაზღვრულია ხვედრითი წილი და დადგენილია მინიმალური კომპეტენციის ზღვარი. კერძოდ, მაქსიმალური 100 ქულიდან შუალედური შეფასების ხვედრითი წილი არის 70 ქულა, ხოლო დასკვნითი შეფასების - 30 ქულა. შუალედური და დასკვნითი შეფასებების ორივე ფორმაში დადგენილია მინიმალური კომპეტენციის ზღვარი. შუალედურ შეფასებებში განსაზღვრულია შეფასების კომპონენტები, რომლებიც ჯამურად შეადგენენ 70 ქულას. შეფასების თითოეული კომპონენტისთვის, შეფასება ეყრდნობა წინასწარ განსაზღვრულ სწავლების მიზანსა და დავალების ფორმაზე ორიენტირებულ, ზუსტ, მკაფიო კრიტერიუმებს და მასზე დაყრდნობით შემუშავებულ შეფასების სქემებს/რუბრიკებს. სტუდენტმა შუალედურ შეფასებებში ჯამურად უნდა დააგროვოს 70 ქულის სულ მცირე 59%, რომ მოიპოვოს დასკვნით გამოცდაზე გასვლის უფლება. სტუდენტს დასკვნითი/დამატებითი გამოცდა ჩაბარებულად ეთვლება, თუ მან მიიღო 30 ქულის სულ მცირე 60%.

სტუდენტი უფლებამოსილია გავიდეს დამატებით გამოცდაზე, თუ იგი ვერ გადალახავს დასკვნითი გამოცდის მინიმალურ კომპეტენციის ზღვარს. სტუდენტს დამატებით გამოცდაზე გასვლის უფლება აქვს აკადემიური კალენდრით დადგენილ პერიოდში, დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 დღის ვადაში.

საბოლოო შეფასებაში 0-50 ქულის ან შეფასების რომელიმე ფორმაში (შუალედური/დასკვნითი) მინიმალური კომპეტენციის ზღვრის ვერ გადალახვის შემთხვევაში სტუდენტს უფორმდება F-0 ქულა.

**ფინალური გამოცდა (30 ქულა) შედგება ღია და ესეს ტიპის შეკითხვისაგან. გამოცდის**

**სტრუქტურისა და თემების შესახებ ინფორმაცია სტუდენტებს მიეწოდებათ გამოცდამდე.**

**ღია კითხვები:**

**25-20 ქულა:** პასუხი სრულყოფილია. კურსთან დაკავშირებული ტერმინოლოგია სრულყოფილადაა გამოყენებული. ნაშრომში ჩანს სავალდებულო ლიტერატურის სრულყოფილი ცოდნა. ნაშრომში არ არის არცერთი შეცდომა. საკითხავ ლიტერატურაზე დაყრდნობით, სტუდენტი ავითარებს ძალიან კარგ და არგუმენტირებულ მსჯელობას.

**19-15 ქულა:** პასუხი სრულია და კონკრეტული. გამოყენებულია შესაბამისი ტერმინოლოგია. არ შეინიშნება არსებითი შეცდომები. სავალდებულო ლიტერატურა კარგადაა გამოყენებული. კურსის მასალებზე დაყრდნობით, სტუდენტი ავითარებს კონცეპტუალურ მსჯელობას.

**14-10 ქულა:** პასუხი არასრულყოფილია. სუსტადაა გამოყენებული კურსთან დაკავშირებული ტერმინოლოგია. მეტნაკლებად გამოყენებულია ძირითადი ლიტერატურა. სტუდენტი ავითარებს ფრაგმენტირებულ მსჯელობას.

**9-5 ქულა:** პასუხი არასრულყოფილია. არასწორადაა გამოყენებული კურსთან დაკავშირებული ტერმინოლოგია. ნაწილობრივია გამოყენებული სავალდებულო საკითხავი ლიტერატურა. ფიქსირდება რამოდენიმე ფაქტობრივი შეცდომა.

**4-1 ქულა:** პასუხი გაურკვეველია. არ არის გამოყენებული კურსთან დაკავშირებული ტერმინოლოგია. ფრაგმენტულადაა გამოყენებული სავალდებულო საკითხავი ლიტერატურა.

**0 ქულა:** პასუხი არასწორია ან ღიადაა დატოვებული.

**ესსეს ტიპის შეკითხვა (5 ქულა)**

**5-4 ქულა:** ესე კარგადაა სტრუქტურირებული და სრულად პასუხობს დასმულ შეკითხვას. ესეში სრულყოფილადაა გამოყენებული სავალდებულო ლიტერატურა. არ ფიქსირდება შეცდომები. სტუდენტი ავითარებს ძალიან კარგ და არგუმენტირებულ მსჯელობას, რომელიც ეფუძნება საკითხავ ლიტერატურას.

**3-2 ქულა:** ესე კარგადაა სტრუქტურირებული და დამაკმაყოფილებლად პასუხობს დასმულ შეკითხვას. გამოყენებულია სავალდებულო ლიტერატურა. ნაწერში არ არის მნიშვნელოვანი შეცდომები. სტუდენტის არგუმენტირებისა და მსჯელობის უნარი დამაკმაყოფილებელია.

**1 ქულა:** პასუხი გაურკვეველია. არ არის გამოყენებული კურსთან დაკავშირებული ტერმინოლოგია. პასუხი არასწორია. ფრაგმენტულადაა გამოყენებული სავალდებულო საკითხავი ლიტერატურა.

**0 ქულა:** პასუხი არასწორია ან ღიადაა დატოვებული.

**შუალედური გამოცდა (25 ქულა): შედეგბა ღია და ესსეს ტიპის შეკითხვისაგან. შუალედური გამოცდის სტრუქტურისა და თემების შესახებ ინფორმაცია სტუდენტებს მიეწოდებათ გამოცდამდე.**

**ღია შეკითხვები :**

**20-16 ქულა:** პასუხი სრულყოფილია. კურსთან დაკავშირებული ტერმინოლოგია სრულყოფილადაა გამოყენებული. ასევე, ჩანს სავალდებულო ლიტერატურის სრულყოფილი ცოდნა. პასუხში არ არის არცერთი შეცდომა. საკითხავ ლიტერატურაზე დაყრდნობით, სტუდენტი ავითარებს ძალიან კარგ და არგუმენტირებულ მსჯელობას.

**15-9 ქულა:** პასუხი სრულია და კონკრეტული. გამოყენებულია შესაბამისი ტერმინოლოგია. არ შეინიშნება არსებითი შეცდომები. სავალდებულო ლიტერატურა კარგადაა გამოყენებული. კურსის მასალებზე დაყრდნობით, სტუდენტი ავითარებს კონცეპტუალურ მსჯელობას.

**8-4 ქულა:** პასუხი არასრულყოფილია. სუსტადაა გამოყენებული კურსთან დაკავშირებული ტერმინოლოგია. მეტნაკლებად გამოყენებულია ძირითადი ლიტერატურა. ნაშრომში ფიქსირდება რამოდენიმე მნიშვნელოვანი შეცდომა.

**3-1 ქულა:** პასუხი გაურკვეველია. არ არის გამოყენებული კურსთან დაკავშირებული ტერმინოლოგია. ფრაგმენტულადაა გამოყენებული სავალდებულო საკითხავი ლიტერატურა.

**0 ქულა:** პასუხი არასწორია ან ღიადაა დატოვებული.

### ესსეს ტიპის შევითხვა (5 ქულა)

**5-4 ქულა:** ესე კარგადაა სტრუქტურირებული და სრულად პასუხობს დასმულ შევითხვას. ესეში სრულყოფილადაა გამოყენებული სავალდებულო ლიტერატურა. არ ფიქსირდება შეცდომები. სტუდენტი ავითარებს ძალიან კარგ და არგუმენტირებულ მსჯელობას, რომელიც ეფუძნება საკითხავ ლიტერატურას.

**3-2 ქულა:** ესე კარგადაა სტრუქტურირებული და დამაკმაყოფილებლად პასუხობს დასმულ შევითხვას. გამოყენებულია სავალდებულო ლიტერატურა. ნაწერში არ არის მნიშვნელოვანი შეცდომები. სტუდენტის არგუმენტირებისა და მსჯელობის უნარი დამაკმაყოფილებელია.

**1 ქულა:** პასუხი გაურკვეველია. არ არის გამოყენებული კურსთან დაკავშირებული ტერმინოლოგია. პასუხი არასწორია. ფრაგმენტულადაა გამოყენებული სავალდებულო საკითხავი ლიტერატურა.

**0 ქულა:** პასუხი არასწორია ან ღიადაა დატოვებული.

### სტუდენტებმა უნდა დაწერონ ერთი საკურსო ესე (15 ქულა) ლექტორთან წინასწარ

#### შეთანხმებულ თემაზე. შეფასების კრიტერიუმები:

**25-20 ქულა:** წერითი დავალება სრულყოფილია. ნაშრომის სრულყოფილად პასუხობს შესაბამის თემას. სტუდენტი ძალიან კარგად ფლობს თემასთან დაკავშირებულ ლიტერატურას. ის ასევე, აჩვენებს დამატებითი ლიტერატურის ძალიან სრულყოფილ და ღრმა ცოდნას. არ შეინიშნება ფაქტობრივი შეცდომები და ჩანს ანალიტიკური აზროვნების ძალიან მაღალი დონე.

**19-15 ქულა:** წერითი დავალება ძალიან კარგია. საკითხი ძალიან კარგადაა წარმოჩენილი. სტუდენტი კარგად ფლობს თემასთან დაკავშირებულ ლიტერატურას და ასევე იყენებს დამატებით ლიტერატურას. არ შეინიშნება ფაქტობრივი შეცდომები და ჩანს ანალიტიკური აზროვნების მაღალი დონე.

**14-10 ქულა:** წერითი დავალება კარგია. სტუდენტი ფლობს თემას, თუმცა არის გარკვეული ხარვეზები. გამოყენებული ლიტერატურა არასაკმარისია. ანალიტიკური მსჯელობა ფრაგმენტულია.

**9-5 ქულა:** წერითი დავალება შეესაბამება გარკვეულ ძირითად კრიტერიუმებს. მხოლოდ ნაწილობრივაა გამოყენებული თემასთან დაკავშირებული ლიტერატურა. სტუდენტი კარგად არ ფლობს სავალდებულო ლიტერატურას. ესეში არის რამოდენიმე ფაქტობრივი შეცდომა.

**4 -1 ქულა:** წერითი დავალება ვერ აკმაყოფილებს შესაბამის კრიტერიუმებს. შინაარსი მცდარია. ესეში გამოყენებულია სავალდებულო ლიტერატურის გარკვეული ფრაგმენტები. სტუდენტი არ ფლობს თემასთან დაკავშირებულ მასალას.

სტუდენტი წარმოადგენს **პრეზენტაციას** (20 ქულა), რომელშიც უნდა ჩანდეს ევროინტეგრაციის რომელიმე თეორიის სიღრმისეული ანალიზი და ლიტერატურის მიმოხილვა. გარდა ამისა კონკრეტული მაგალითი/ისტორიული ფაქტი/პროცესი გაანალიზებული უნდა იყოს მოცემული თეორიის ჭრილში. კარგი პრეზენტაციის მაგალითი შეიძლება იყოს - ლიბერალური ინტერგავერნმენტალიზმი და მის ჭრილში დანახული ავსტრიის სოციალური პარტნიორობის სისტემა. **პრეზენტაციის შეფასება** ეფუძნება, როგორც შინაარსობრივ (საკითხის კვლევა, ლიტერატურის რელევანტურობა, ანალიზი და დასკვნები), ასევე ფორმალურ (დროის მენეჯმენტი, ვიზუალური და ვერბალური კომუნიკაცია) მხარეს:

**20-15 ქულა:** პრეზენტაცია სრულად პასუხობს მიცემულ დავალებას: პრეზენტაციის სტრუქტურა, გამოყენებული ლიტერატურა და განსახილველი საკითხები შეესაბამება ერთმანეთს. გამოყენებულია თემასთან დაკავშირებული უახლესი ინორმაცია, მონაცემები და ლიტერატურა. სტუდენტს აქვს მოპოვებული ინფორმაციის გაანალიზების, დასკვნების გაკეთების უნარი. პრეზენტაციის ვიზუალური მხარე სამაგალითოა. პრეზენტაცია კარგადაა მომზადებული და ჩანს შესაბამისი უნარების ცოდნა. სტუდენტს აქვს თემის წარმოდგენის უნარი. კარგად ფლობს თემას, მარტივად ერთვება საკითხთან დაკავშირებულ დისკუსიაში და აქვს საკუთარი მოსაზრების არგუმენტირებულად დაცვის უნარი. სტუდენტი იდეალურად ახერხებს დროის მენეჯმენტს და ეფექტურად ურთიერთობს აუდიტორიასთან.

**14-10 ქულა:** პრეზენტაცია პასუხობს მიცემულ დავალებას: პრეზენტაციის სტრუქტურა, გამოყენებული ლიტერატურა და განსახილველი საკითხები შეესაბამება ერთმანეთს, მაგრამ კვლევა არ არის ამომწურავი და განსახილველი საკითხები სრულად არ არის გაანალიზებული. გამოყენებულია საკმარისი რაოდენობის ინორმაცია, მონაცემები და ლიტერატურა. პრეზენტაციის ვიზუალური მხარე გამართულია. საკითხი საკმარისადაა მომზადებული შესაბამისი ტექნიკური უნარების გამოყენებით.

სტუდენტს აქვს თემის წარმოდგენის უნარი, მონაწილეობს დისკუსიაში, თუმცა ავითარებს სუსტ არგუმენტებს. სტუდენტი კარგად ახერხებს დროის მენეჯმენტს და ურთიერთობს აუდიტორიასთან.

**9-5 ქულა:** პრეზენტაცია სრულად არ პასუხობს მიცემულ დავალებას: პრეზენტაციის სტრუქტურა, გამოყენებული ლიტერატურა და განსახილველი საკითხები ნაკლებად შეესაბამება ერთმანეთს და კვლევა უფრო მეტად არასრულყოფილია. თემის გარშემო ჩატარებული კვლევა არასაკმარისია. შეიმცნევა ინფორმაციის, მონაცემებისა და ლიტერატურის ნაკლებობა. პრეზენტაციის ვიზუალური მხარე დამაკმაყოფილებელია. მასალები დამოუკიდებლადაა მოძიებული შესაბამისი ტექნიკური უნარების გამოყენებით. სტუდენტს შეუძლია თემის წარმოდგენა, უჭირს დისკუსიასი ჩაბმა და ვერ ახერხებს საკუთარი მოსაზრების არგუმენტირებულად დასაბუთებას. სტუდენტი დამაკმაყოფილებლად ახერხებს დროის მართვას და ურთიერთობს აუდიტორიასთან.

**4-1 ქულა:** პრეზენტაციაში განხილული საკითხები ძირითადად დაკავშირებულია პრეზენტაციის თემასთან, მაგრამ ის არ შეესაბამება მიცემულ დავალებას. მსჯელობა სუსტია და გამოყენებულია მცირე რაოდენობის ინფორმაცია და ლიტერატურა. პრეზენტაციის ვიზუალური მხარე ძირითადად დამაკმაყოფილებელია. სტუდენტს უჭირს თემის წარმოდგენა და დისკუსიასი ჩაბმა. ვერ ახერხებს თემის გარშემო დასმულ შეკითხვებზე პასუხის გაცემას და არგუმენტების მოყვანას. სტუდენტი ვერ ახერხებს დროის მართვას და აუდიტორიასთან კომუნიკაციას.

ლექციებისა და სემინარების სემესტრში საათობრივი გადანაწილება			
<b>I კვირა</b>	<b>II კვირა</b>	<b>III კვირა</b>	<b>IV კვირა</b>
ლექცია;	ლექცია/სემინარი	ლექცია/სემინარი	ლექცია/სემინარი
<b>V კვირა</b>	<b>VI კვირა</b>	<b>VII – IX კვირა</b>	<b>X კვირა</b>
ლექცია/სემინარი	ლექცია/სემინარი	შუალედური გამოცდა 2 საათი	ლექცია/სემინარი
<b>XI კვირა</b>	<b>XII კვირა</b>	<b>XIII კვირა</b>	<b>XIV კვირა</b>
ლექცია / სემინარი	ლექცია/სემინარი	ლექცია/სემინარი	ლექცია / სემინარი
<b>XV კვირა</b>	<b>XVI კვირა</b>	<b>XVII–XIX კვირა</b>	<b>XX კვირა</b>
ლექცია/სემინარი	ლექცია/სემინარი	დასკვნითი გამოცდა	დასკვნითი გამოცდის გადაბარება

მეცადინეობების კალენდარული გეგმა				
მეცადინეობის დრო და ადგილი	დღე -	დაწყება -	დამთავრება -	აუდიტორია-
N	ფორმატი	მეცადინეობის თემა, საშინაო დავალება, ლიტერატურა		
1-ლი კვირა	ლექცია 2 საათი	<p><b>☞ თემა 1. კურსის შესავალი განსახილველი საკითხები</b>                      კურსუს თემების განხილვა. რატომ არის მნიშვნელოვანი თეორიები? რაში გვჭირდება ევროპის ინტეგრაციის თეორიები? რა განსხვავებაა საერთაშორისო ურთიერთობებისა და ევროპის ინტეგრაციის თეორიებს შორის? დავალებების აღწერა და რასი მდგომარეობს კურსი (სტატიების მიმოხილვა, გამოცდა და ა.შ.)</p> <p><b>სავალდებულო ლიტერატურა</b></p> <p><b>დამატებითი ლიტერატურა და სხვა სასწავლო მასალა</b></p>		
მე- 2 კვირა	ლექცია/სემინარი 2 საათი	<p><b>☞ თემა 2. ფუნქციონალიზმი განსახილველი საკითხები</b>                      ევროპის ინტეგრაციის ფუნქციონალისტური თეორია. თანამშრომლობის დასაწყისი და ევროინტეგრაციის პრე-თეორიები.</p> <p><b>სავალდებულო ლიტერატურა</b>                      Eilstrup-Sangiovanni, pp. 43-68</p> <p><b>დამატებითი ლიტერატურა და სხვა სასწავლო მასალა</b></p>		
მე- 3 კვირა	ლექცია/სემინარი 2 საათი	<p><b>☞ თემა 3. ფედერალიზმი განსახილველი საკითხები</b>                      ევროპის ინტეგრაციის ფედერალისტური თეორია. ევროპა, როგორც ერთი მთლიანობა</p> <p><b>სავალდებულო ლიტერატურა</b>                      Wiener and Diaz, Chapter 2, Federalism</p> <p><b>დამატებითი ლიტერატურა და სხვა სასწავლო მასალა</b></p>		
მე- 4 კვირა	ლექცია/სემინარი 2 საათი	<p><b>☞ თემა 4. ტრანზაქციონალიზმი</b>                      ევროპული თანამშრომლობა 1950-60-იან წლებში. გაზრდილი თანამშრომლობა ვაჭრობის, კომუნიკაციისა და სხვა სფეროებში ევროპის სახელმწიფოთა შორის.</p> <p><b>სავალდებულო ლიტერატურა</b>                      Eilstrup-Sangiovanni, pp. 68-86</p> <p><b>დამატებითი ლიტერატურა და სხვა სასწავლო მასალა</b></p>		
მე- 5 კვირა	ლექცია/სემინარი 2 საათი	<p><b>☞ თემა 5. ნეოფუნქციონალიზმი</b>                      ნახშირისა და ფოლადის გაერთიანება, ეკონომიკური თანამშრომლობა ნახშირისა</p>		



		<p>და ფოლადის სფეროში, თანამშრომლობის გადაღვრა სოფლის მეურნეობის სფეროში, EURATOM და თანამშრომლობა სხვა სფეროებში.</p> <p><b>სავალდებულო ლიტერატურა</b></p> <p>Eilstrup-Sangiovanni, pp. 105-133</p> <p><b>დამატებითი ლიტერატურა და სხვა სასწავლო მასალა</b></p>
მე- 6 კვირა	ლექცია/სემინარი 2 საათი	<p><b>📖 თემა 6. ინტერგავერნმენტალიზმი</b>  ერ-სახელმწიფოთა თანამშრომლობა ევროპული ინტეგრაციის კონტექსტში. დედაქალაქები, როგორც მთავარი გადაწყვეტილების მიმღები აქტორები. საფრანგეთი და გერმანია, როგორც ევროპული ინტეგრაციის მთავარი მხარდამჭერი ძალები.</p> <p><b>სავალდებულო ლიტერატურა</b></p> <p>Eilstrup-Sangiovanni, pp. 135-159</p> <p><b>დამატებითი ლიტერატურა და სხვა სასწავლო მასალა</b></p>
მე- 7- მე-9 კვირა		<p style="text-align: center;"><b>შუალედური გამოცდა</b></p>
მე- 10 კვირა	ლექცია/სემინარი 2 საათი	<p><b>📖 თემა 7. ლიბერალური ინტერგავერნმენტალიზმი</b>  ენდრიუ მორავსკის თეორია, როგორც ევროპულ დონეზე ხელშეკრულებებისა და დიდი ვაჭრობების თეორიულ ჩარჩოში მოქცევის პირველი მცდელობა. ევროგაერთიანების ხელშეკრულებები და ევროკავშირი ლიბერალური ინტერგავერნმენტალიზმის ჭრილში.</p> <p><b>სავალდებულო ლიტერატურა</b></p> <p>Eilstrup-Sangiovanni, pp. 264-301</p> <p><b>დამატებითი ლიტერატურა და სხვა სასწავლო მასალა</b></p>
მე-11 კვირა	ლექცია /სემინარი 2 საათი	<p><b>📖 თემა 8. სუპრანაციონალური მმართველობა</b>  სანდჰოლცის თეორია ევროპული ინტეგრაციის კონტექსტში თანამშრომლობის სუპრანაციონალიზაციის შესახებ. ინტეგრაციის პროცესი და ლოგიკა 1960-იანი წლებიდან დღემდე.</p> <p><b>სავალდებულო ლიტერატურა</b></p> <p>Eilstrup-Sangiovanni, pp. 204-225</p> <p><b>დამატებითი ლიტერატურა და სხვა სასწავლო მასალა</b></p>
მე-12 კვირა	ლექცია/სემინარი 2 საათი	<p><b>📖 თემა 9. ევროპის ინტეგრაციის ინსტიტუციონალისტური თეორიები განსახილველი საკითხები</b>  ევროპული ინსტიტუტების წარმოშობისა და ევოლუციის ამხსნელი ინსტიტუციონალისტური თეორიები. რაციონალური არჩევანისა და სოციოლოგიური ინსტიტუციონალიზმის თეორიები, რომლებიც ხსნიან ევროკავშირის ინსტიტუტებს.</p>

		<p><b>სავალდებულო ლიტერატურა</b></p> <p>Eilstrup-Sangiovanni, pp. 304-324</p> <p><b>დამატებითი ლიტერატურა და სხვა სასწავლო მასალა</b></p>
მე-13 კვირა	ლექცია/სემინარი 2 საათი	<p><b>📖 თემა 10. ისტორიული ინსტიტუციონალიზმი განსახილველი საკითხები</b></p> <p>ნაბიჯზე დამოკიდებულება და ისტორიული ინსტიტუციონალიზმი, როგორც ევროპული ინტეგრაციის პროცესის ამხსნელი თეორია. თანამშრომლობა მართლმსაჯულების, საშინაო საქმეებისა და ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის სფეროში, როგორც სახელმწიფოთა შორის თანამშრომლობის მაგალითები. სახელმწიფოთა პოლიტიკური ჰორიზონტი.</p> <p><b>სავალდებულო ლიტერატურა</b></p> <p>Paul Pierson, “The Path to European Integration: A Historical Institutionalist Analysis”, Political Relations and Institutions Research Group, Working Paper 2.39. November 1996</p> <p><b>დამატებითი ლიტერატურა და სხვა სასწავლო მასალა</b></p>
მე-14 კვირა	ლექცია / სემინარი 2 საათი	<p><b>📖 თემა 11. მრავალდონიანი მმართველობა განსახილველი საკითხები</b></p> <p>ევროკავშირის მმართველობის დონეები - სუპრანაციონალური, ეროვნული და რეგიონული/ადგილობრივი დონე. სხვადასხვა მოდელები, რომლებიც ხსნიან ადგილობრივ, სახელმწიფო და ზესახელმწიფო დონეებს შორის ინტერაქციას.</p> <p><b>სავალდებულო ლიტერატურა</b></p> <p>Eilstrup-Sangiovanni, pp. 357-377</p> <p><b>დამატებითი ლიტერატურა და სხვა სასწავლო მასალა</b></p>
მე-15 კვირა	ლექცია/სემინარი 2 საათი	<p><b>📖 თემა 12. მმართველობის განვითარება განსახილველი საკითხები</b></p> <p>ევროკავშირის მმართველობის ახალი თეორიები. 2000-იანი წლების მოვლენები და სახელმწიფოების, რეგიონებისა და ზესახელმწიფოებრივი ინსტიტუტების ახალი როლი.</p> <p><b>სავალდებულო ლიტერატურა</b></p> <p>Marcus Jachtenfus and Beata Beckler Koch, “Governance and Institutional Development”, January 2003</p> <p><b>დამატებითი ლიტერატურა და სხვა სასწავლო მასალა</b></p>
მე-16 კვირა	ლექცია/სემინარი 2 საათი	<p><b>📖 თემა 13. კონსტრუქტივიზმი განსახილველი საკითხები</b></p> <p>იდენტობა და ღირებულებები, როგორც ევროპული ინტეგრაციის მთავარი მამოძრავებელი ფაქტორები.</p> <p><b>სავალდებულო ლიტერატურა</b></p> <p>Eilstrup-Sangiovanni, pp. 406-436</p>
მე-17- მე-19 კვირა		დასკვნითი გამოცდა

